პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1975 შაბათი 18 ოქტომბერი № 245 (16371) ფასი 2 კაპ. 1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ხუთწლედის დამთავრებამდე 75 დღე დარჩა

6 წლის დამლევამდე დარჩენილ დროში, რესპუბლიკის ყველა მშრომელის შემოქმედებითი შეჯიბრება პარტიულ ორგანიზაციათა მეთაურობით მთავარი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, რომ 1975 წელს დამატებით გამოვუშვათ 200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია და ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით მივუყიდოთ სახელმწიფოს 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

XXV ყრილობის შესახვედრად

მუშებისა და თანამშრომლების ინტერესებისათვის

დეკლარაცია

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი, რომლებიც

დარწმუნებული არიან, რომ დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის პოლიტიკა სხვადასხვა სიზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთადერთი გონივრული საფუძველია, ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას,

ეყრდნობიან ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ისტორიულად დამყარებულ ტრადიციას, რაც გამოვლინდა ერთობლივი ბრძოლით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მეორე მსოფლიო ომის წლებში,

ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1966 წლის დეკლარაციის, პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ 1970 წლის ოქმისა და სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის 1971 წლის პრინციპების ფუძემდებელ როლს ორი ქვეყნის დაახლოებისა და ევროპის და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების სასარგებლოდ მათი ერთობლივი მეცადინეობის აქტივიზაციის საქმეში,

პოზიტიურად აფასებენ შედეგებს, რომლებიც მოჰყვა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობას უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე,

გამოთქვამენ კმაყოფილებას ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესების გამო,

მიესალმებიან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებს, რომლებიც სახავენ ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების ახალ ეტაპს, და ჰელსინკში მონაწილე სახელმწიფოთა ოქმაღლესი ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი საბოლოო აქტის მთელ მნიშვნელობას, მხარს უჭერენ, როგორც ეს გათვალისწინებულია თათბირის საბოლოო აქტში. ყველა მისი პრინციპისა და შეთანხმების თანამიმდევრული განხორციელებას,

აცხადებენ შემდეგს:

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განუხრელად დაიცვან თანხმობისა და თანამშრომლობის კურსი და ყველაფერი იღონონ იმისათვის, რათა საერთაშორისო ურთიერთობაში დამკვიდრონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. დაძაბულობის შენელებას მიანიჭონ კონკრეტული მატერიალური შინაარსი. განსაკუთრებით ფუნდამენტური საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისა და კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილებაში მათი ერთობლივი წვლილის გაძლიერების გზით. ისინი მხარს უჭერენ ამ მიზნით სახელმწიფოთა შორის დიალოგისა და კონსულტაციების გაფართოებას.

მხარეებს მიაჩნიათ, რომ დაძაბულობის შენელების ატმოსფერო ხელს შეუწყობს ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროების განმტკიცებას. თვითეული სახელმწიფოსათვის მშვიდობიანი დამოუკიდებელი განვითარების რწმენის ჩანერგვას.

1.

სსრ კავშირისა და საფრანგეთს სრულიად ევროპის თათბირი უდიდეს მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნიათ. ისინი აღნიშნავენ, რომ თათბირის საბოლოო აქტის დებულებანი ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ზუსტად დაიცვან და თავიანთი ურთიერთობის ყველა სფეროში განახორციელონ სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპები იმ სახით, როგორც ისინი გამოცხადა თათბირმა. მათი აზრით, თუ ამ პრინციპებს ზუსტად დაიცავს ყველა მონაწილე სახელმწიფო, ამას უნდა მოჰყვეს ევროპის მშვიდობის განმტკიცება.

მათ განზრახული აქვთ აგრეთვე მთლიანად განახორციელონ საბოლოო აქტის ყველა დებულება, რომლებიც ეხება ევროპის უშიშროებას, ეკონომიკის (კვჭრობა და სამრეწველო თანამშრომლობა), მეცნიერებისა და ტექნიკის და კაცობრიობის ბედნიერების (ადამიანთა შორის კონტაქტები, ინფორმაცია, თანამშრომლობა და გაცვლა კულტურისა და განათლების დარგში) თანამშრომლობას.

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს სრულიად ევროპის თათბირის შედეგები მიაჩნიათ საქმიანობის გრძელვადიან პროგრამად, რომელიც მოიცავს სახელმწიფოთა ურთიერთობის ფართო დარგებს და შეესაბამება ხალხთა ინტერესებს, და ადასტურებენ მათს ნებას კონკრეტულად შიასრულონ საბოლოო აქტის დებულებები. ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან თანამშრომლონ, კერძოდ ორმხრივი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების მიღწევის გზით, თათბირის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

მხარეები კვლავ ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის მდგომარეობის ხელსაყრელი განვითარებისათვის 1971 წლის 3 სექტემბრის ოთხმხრივ შეთანხმებას.

2.

მხარეები კმაყოფილებით აღასტურებენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მოპოვებულია შესამჩნევი წარმატებები საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაანეიტრონ დონისძიებები, რათა ხელი შეუწყონ დაძაბულობის შენელებას გადრმავებასა და მის გავრცელებას მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობაზე.

დიდი უარყოფა დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, რომელიც კვლავინდებურად სერიოზულად აწუხებთ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს. მხარეები დარწმუნებული არიან, რომ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა ამ რაიონში შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ გაიყვანენ ისრაელის ჯარებს 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან, დაიცავენ პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებებს, მათ შორის მის უფლებას ჰქონდეს ეროვნული კერა; თუ მტკიცე გარანტიებით უზრუნველყოფენ ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების უფლებას უსაშიშრო და აღიარებულ საზღვრებში.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი კვლავაც განაგრძობენ მუდმივ კონტაქტს ერთმანეთს შორის და გამართავენ შესაბამის კონსულტაციებს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების საკითხებზე.

საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა ქმაყოფილება გამოთქვეს **ინდოჩინეთში** მშვიდობის აღდგენის გამო. მათ განაცხადეს, რომ საჭიროა პატივი სცენ ინდოჩინეთის ხალხთა მისწრაფებას თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარებისადმი გარეგან ჩაურევლად.

მხარეები მხარს უჭერენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიღებას.

მხარეები აღნიშნავენ, რომ მათი თვალსაზრისი ერთნაირია კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის საფუძველზე **კვიპროსის პრობლემის** მოწესრიგების საკითხის თაობაზე. ასეთი სამართლიანი და მტკიცე მოწესრიგება მოლაპარაკების გზით უნდა გამოინახოს. მათი

(დასასრული მე-2 გვ.).

კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ' ესტენი მიუღლითურთ 1975 წლის 14-დან 18 ოქტომბრამდე ოფიციალური ვიზიტით იყო სსრ კავშირში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა გვირგვინებით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი მოსკოვში.

ვ. ჟისკარ დ' ესტენმა გვირგვინით შეამკო ავრეთვე მემორიალური დაფა, რომელიც დადგმულია მოსკოვში „ნორმანდია-ნემანის" საიერიგო პოლკის ხსოვნის აღსანიშნავად, საბჭოთა არმიასთან ერთად რომ იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის წლებში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს სათანადოს პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირნი ეწვევნენ კიევს. მეგობარი საფრანგეთის საპატიო წარმომადგენლის გულთბილი მასპინძლობა გაიწია, რაც ასახავს ბატიჟეულცემას, რომლითაც ერთმანეთისადმი გამსჭვალულია სსრ კავშირში და საფრანგეთში.

ვიზიტის დროს გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. გ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინისა და ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება ვ. ჟისკარ დ' ესტენთან.

17 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დ' ესტენს. საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ზერგონინკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ-დესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ვ. ბობინინი; საფრანგეთის მხრივ — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ჟ. ჟ. ფ

ერადი, მრწამსელობისა და მეცნიერული კვლევის მინისტრი მ. დ' ორნანო, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი ჟ. პიერ ბროსოლეტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ჟ. დეკურსელი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ჟ. ეიმონნი, გენერალური მდივნები ენერგეტიკის დარგში პ. მანტრე და ლ. ლუა, პრეზიდენტის მრჩეველები ჟ. ჟ. დიუტე, ჟ. გუიუ-ბომანი, გ. რობენი, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამმართველოს დირექტორი ბ. ლ. დე მორლი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკისა და ფინანსთა საკითხების დეპარტამენტის დირექტორი ა. თორმან-მერისი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგვიპტის განყოფილების გამგე ჟ. ა. ანდრეანი.

ფართო ურთიერთგაგების ვითარებაში საბჭოთა ხელმძღვანელებმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა საფუძვლიანად გაუზიარეს ერთმანეთს აზრი ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის დიდ პრობლემებზე და საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის თანამშრომლობისა და თანხმობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ' ესტენმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს:

სამოქალაქო ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის დარგში თანამშრომლობის შეთანხმებას,

ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შეთანხმებას,

ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შეთანხმებას.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ' ესტენმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ოფიციალური ვიზიტით მიიწვია საფრანგეთს. მიწვევას ქმაყოფილებით დათანხმდნენ.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს

17 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი კრემლში შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დ' ესტენს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ჟისკარ დ' ესტენმა მაღალი შეფასება მისცეს ურთიერთგაგებისა და კეთილი თანამშრომლობის დონეს, რომელსაც სსრ კავშირმა და საფრანგეთმა მიაღწიეს უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, და ხაზი გაუსვეს, რომ ორივე სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ყოველნაირად გააღრმაონ და განავითარონ ეს თანამშრომლობა.

მხარეებმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიზნების მისაღწევად უმაღლესი დონის რეგულარულ კონტაქტებს, აგრეთვე, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ტრადიციული მეგობრობის განვითარების საქმეში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეების ჩაბმას.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ჟისკარ დ' ესტენმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ფართო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაშლადილება, აგრეთვე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკის წარმატებანი და განსაკუთრებით სრულიად ევროპის თათბირის შედეგები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან, რომ საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი თავიანთი ურთიერთდამოკიდებულების განვითარების კეთილი მეზობლითთა და საგარეო პოლიტიკის დარგში აქტიური ღონისძიებებით ზრდიდნენ თავიანთ წვლილს ახალი ომის წარმოშობის საფრთხის შემცირებაში, მშვიდობის განმტკიცებაში, ახლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელი შეუწყონ ყოველივე იმის განმტკიცებასა და განხორციელებას, რაზეც 35 სახელმწიფო შეთანხმდა ჰელსინკში, და შესაძლებელი გახდონ ევროპის ამ გამოცდილების მეტ-ნაკლები გამოყენება მსოფლიოს სხვა რაიონებში. საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს განზრახული აქვთ იმოქმედონ ამ მიმართულებით.

შეხვედრამ კონსტრუქციული სულისკვეთებით, ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტებს

17 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს დეკლარაციას საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და საფრანგეთის რესუბლიკის პრეზიდენტმა ვალერი ჟისკარ დ' ესტენმა.

შემდეგ გაიმართა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტების ხელმოწერა.

შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამოქალაქო ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის შესახებ ხელი მოაწერეს:

სსრ კავშირის მთავრობის სახელით — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ;

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან სოვანიარგმა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებას ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შესახებ ხელი მოაწერეს:

სსრ კავშირის მთავრობის სახელით — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ;

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან სოვანიარგმა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებას ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ ხელი მოაწერეს:

სსრ კავშირის მთავრობის სახელით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ა. კირილინმა;

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით — საფრანგეთის მრეწველობისა და მეცნიერული კვლევის მინისტრმა მიშელ დ' ორნანომ.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ე. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი;

საფრანგეთის მხრივ — ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ჟან-პიერ ფურკადი, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი კლოდ პიერ-ბროსოლეტი, ელჩი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ჟოფრუა დე კურსელი, საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ჟაკ ეიმონი, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

სურათზე: დეკლარაციის ხელმოწერის დროს.

სურ. ფოტო — სპეციფორმის ტელეფოტო.

კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ' ესტენი მიუღლითურთ 1975 წლის 14-დან 18 ოქტომბრამდე ოფიციალური ვიზიტით იყო სსრ კავშირში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა გვირგვინებით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი მოსკოვში.

ვ. ჟისკარ დ' ესტენმა გვირგვინით შეამკო აგრეთვე მემორიალური დაფა, რომელიც დადგმულია მოსკოვში „ნორმანდია-ნემანის" საიერიგო პოლკის ხსოვნის აღსანიშნავად, საბჭოთა არმიასთან ერთად რომ იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის წლებში.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს სათანადოს პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირნი ეწვევნენ კიევს. მეგობარი საფრანგეთის საპატიო წარმომადგენლის გულთბილი მასპინძლობა გაიწია, რაც ასახავს ბატიჟეულცემას, რომლითაც ერთმანეთისადმი გამსჭვალულია სსრ კავშირში და საფრანგეთში.

ვიზიტის დროს გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. გ. პოდგორნის, ა. ნ. კოსიგინისა და ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება ვ. ჟისკარ დ' ესტენთან.

17 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დ' ესტენს. საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ზერგონინკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ-დესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ი. ვ. ბობინინი; საფრანგეთის მხრივ — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ჟ. ჟ. ფურადი, მრწამსელობისა და მეცნიერული კვლევის მინისტრი მ. დ' ორნანო, პრეზიდენტის კანცელარიის გენერალური მდივანი ჟ. პიერ ბროსოლეტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ჟ. დეკურსელი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ჟ. ეიმონნი, გენერალური მდივნები ენერგეტიკის დარგში პ. მანტრე და ლ. ლუა, პრეზიდენტის მრჩეველები ჟ. ჟ. დიუტე, ჟ. გუიუ-ბომანი, გ. რობენი, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამმართველოს დირექტორი ბ. ლ. დე მორლი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკისა და ფინანსთა საკითხების დეპარტამენტის დირექტორი ა. თორმან-მერისი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგვიპტის განყოფილების გამგე ჟ. ა. ანდრეანი.

ფართო ურთიერთგაგების ვითარებაში საბჭოთა ხელმძღვანელებმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა საფუძვლიანად გაუზიარეს ერთმანეთს აზრი ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის დიდ პრობლემებზე და საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის თანამშრომლობისა და თანხმობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ' ესტენმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს:

სამოქალაქო ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის დარგში თანამშრომლობის შეთანხმებას,

ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შეთანხმებას,

ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შეთანხმებას.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დ' ესტენმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ოფიციალური ვიზიტით მიიწვია საფრანგეთს. მიწვევას ქმაყოფილებით დათანხმდნენ.

დარბაზობა კრემლში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 17 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართეს საფრანგეთის პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ' ესტენისა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პალატების თავმჯდომარენი, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

დარბაზობაზე იყვნენ პრეზიდენტის თანმხლები სახელმწიფო მოღვაწეები. სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტები.

დარბაზობის დაწყებამდე შესრულდა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

ეკონომიკა

ეკონომიკური ინფორმაციის ბიულეტენი

ეკონომიკური ინფორმაციის ბიულეტენი

ეკონომიკური ინფორმაციის ბიულეტენი

დეკლარაცია

საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ

(დასასრული)

აზრით, კვიპროსის რესპუბლიკიდან რაც შეიძლება მალე უნდა გაყვანონ უცხოელთის მთელი ჯარები და მთელი მოცულობით შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებები კვიპროსის შესახებ.

მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინტერესს აღძრავს ღონისძიებები, რომელთა მიზანია სამხედრო დაპირისპირების შემცირება და განიარაღებისათვის ხელშეწყობა, რასაც მოჰყვებოდა დაძაბულობის შენელების ახალ დარგებზე გავრცელება. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები არ უნდა ლახავდეს სახელმწიფოთა უშიშროებასა და დამოუკიდებლობას.

მხარეები ადასტურებენ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის გადაწყვეტილებას ხელი შეუწყონ საყოველთაო და სრული განიარაღების, კერძოდ, ატომური განიარაღების განხორციელებას მკაცრი და ეფექტური საერთაშორისო კონტროლით.

ისინი მოითხოვენ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას ამ კონფერენციის მომზადებასა და მუშაობაში ყველა ატომური სახელმწიფოს მონაწილეობით. კონფერენციამ არსებითი წვლილი უნდა შეიტანოს საყოველთაო და სრული განიარაღების გზაზე წინსვლის, შეიარაღების ტვირთისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეში.

გაიმართა აზრთა გაზიარება მასობრივი მოსპობის ახალი სახეობის იარაღისა და ასეთი იარაღის ახალი სისტემების შემუშავებისა და წარმოების აკრძალვის წინადადების შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირმა განსახილველად წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიის. საფრანგეთის მხარემ განაცხადა, რომ იგი ინტერესით განაგრძობს ამ წინადადების განხილვას.

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს განზრახული აქვთ გააფართოონ აზრთა გაზიარება და კონსულტაციები ამ საკითხებზე.

სსრ კავშირი და საფრანგეთი დარწმუნებული არიან, რომ არ უნდა დაუშვან ატომური იარაღის გავრცელება და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაიზიარონ პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ეკისრებათ იმასთან დაკავშირებით როგორც ატომურ სახელმწიფოებს. ისინი, მიმართავენ რა შესაბამის საშუალებებს, იზრუნებენ იმისათვის, რომ არაატომური სახელმწიფოებისათვის მათ მიერ მიწოდებული ატომური მასალები და მოწყობილობა გამოიყენონ მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, რაღგან მიიჩნიათ, რომ ყველა იმათი მოლოდინის გამართლება, რომლებისთვისაც ატომური ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, სწორედ ამ პირობებით შეიძლება.

სსრ კავშირი და საფრანგეთი — **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის** დამფუძნებელი წევრები, — რომლებიც მისი წესდების მიზნებისა და პრინციპების ერთგული არიან, ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ როგორ დიდ როლს ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების, აგრეთვე სახელმწიფოთა თანხმობისა და თანამშრომლობის განვითარების დარგში.

მათ აგრეთვე დაადასტურეს თავიანთი ერთგულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისადმი და მიიჩნიათ, რომ წესდების დებულებები, რომლებსაც საფუძვლად უდევს საყოველთაოდ აღიარებული საწყისები, კვლავ შეესაბამება საერთაშორისო გაერთიანების მისწრაფებებს. ისინი ილაშქრებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზიის ცდების წინააღმდეგ და მიიჩნიათ, რომ ამ ორგანიზაციის ავტორიტეტისა და ეფექტიანობის ამაღლება ყველა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მიღწეულ უნდა იქნეს იმ დიდ შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენების გზით, რომლებსაც შეიცავს მისი წესდება.

მხარეები შეთანხმდნენ ცნონ, **რომ საჭირო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის** გარდაქმნა, ამასთან გაითვალისწინონ განვითარებადი ქვეყნების უფლებები ეზიარონ მსოფლიო ეკონომიკურ პროგრესს, უფრო სამართლიან საფუძველზე ისარგებლონ მისი შედეგებით, აგრეთვე გავლენა მოახდინონ იმ გზების არჩევაზე, რომლებზეც დამოკიდებულია ამ პროგრესის მიღწევა. მათ ხაზი გაუსვეს, რომ ამას მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობდა კონსტრუქციული დიალოგი და თანასწორუფლებიან საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ფართო განვითარება.

მოსკოვი, 1975 წლის 17 ოქტომბერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი
ლ. ი. ბრეჟნევი

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ვ. ჟისკარ დ'ესტენი

ვ.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა, რომელიც უმარველესად ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების ძირითად პრობლემებს მოიცავს, უკანასკნელ წლებში საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, კონსტრუქციული წვლილი შეიტანა ევროპისა და მსოფლიოს სხვა რაიონების მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

მხარეებს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პოლიტიკური კონსულტაციები სავსებით გამართლებულ პრაქტიკად მიაჩნიათ. მათ გადაწყვიტეს ეს კონსულტაციები განავითარონ ყველა დონეზე, მიანიჭონ მათ უფრო სისტემატური და გაღრმავებული ხასიათი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ, რომ ამგვარმა კონსულტაციებმა ხელი შეუწყოს საერთაშორისო უშიშროების განტკიცების მიზნით შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელების ამოცანას.

ამასთან დაკავშირებით მხარეებმა აღნიშნეს უმაღლესი დონის შეხვედრათა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლებმაც გადამწყვეტწილად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობების წინსვლას, და გადაწყვიტეს, რომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელების შეხვედრები კელავაც მოეწყობა პერიოდულ საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი განუხრელად განაგრძობენ თანაბარი ურთიერთობის გამდიდრებისა და დონის ამაღლების ღონისძიებებს.

განიხილეს რა სავაჭრო-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობა და პერსპექტივები, მხარეებმა კმაყოფილებით აღასტურებენ, რომ უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ, 1974 წლის დეკემბერში რომბეიეს შეხვედრის დროიდან, ეს ურთიერთობა კეთილნაყოფიერი მიმართულებით ვითარდებოდა.

მათ კვლავ დაადასტურეს მნიშვნელობა, რომელსაც ანიჭებენ ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას, რომელიც საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის ერთ-ერთ არსებით საფუძველს შეადგენს.

მხარეები აღნიშნავენ, თუ რაოდენ სასარგებლოა გაცვლის განვითარებისათვის ერთმანეთის ეკონომიკური ინფორმირება, რომელიც ხორციელდება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის არსებული ფორმების ფარგლებში.

მათ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ 1975 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობის მოცულობა. ზრდის ასეთმა ტემპმა ხელი უნდა შეუწყოს 1975-1979 წლებისათვის გათვალისწინებული ვაჭრობის გადიდებას (ამ მოცულობის გაორკეცებას და, თუ შესაძლებელია, გასამეცებას). მათ გადაწყვიტეს აგრეთვე მთელი ძალღონე მოახმარონ იმ საშუალებების გამოძებნას, რომლებიც ხელს შეუწყობს საავჭრო გაცვლის უფრო შეწონასწორებულ ხასიათს. ამ თვალსაზრისით საფრანგეთმა განაცხადა, რომ მზად არის 1976 წლიდან ხელი შეუწყოს ტრადიციული სანედლეულო საქონლისა და საბჭოთა სამრეწველო პროდუქციის შესყიდვის გადიდებას.

მხარეებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს გრძელვადიანი და დიდმასშტაბიანი პროექტების განხორციელებას, მათ შორის საკომპენსაციო საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია 10 წლის პერიოდისათვის ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში თანამშრომლობის გაღრმავების პროგრამით და მისი დამატებით. მათ მიიჩნიათ, რომ ორი ქვეყნის დაინტერესებული ორგანიზაციებისა და საწარმოების მოლაპარაკების დამთავრება მსხვილი სამრეწველო კომპლექსების აგების შესახებ, კერძოდ, თიხამიწისა და ალუმინის, ნავთობისა და გაზის წარმოების, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგში, მანქანათმშენებლობის, ტელეკავშირის, ელექტრონიკის, გამოთვლითი ტექნიკის, აგრეთვე ელექტრონული, მსუბუქი და კვების მრეწველობის მოწყობილობის მიწოდების შესახებ, მნიშვნელოვანი წვლილი იქნება მათი თანამშრომლობის განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით მათ კმაყოფილება გამოთქვეს ორენბურგის გაზსამრეწველო კომპლექსის შესამე რიგისათვის მოწყობილობის მიწოდების ორი დიდი კონტრაქტის ამასწინანდელი დადების გამო, აგრეთვე უმაღლესი ეხიმიანი სპირტების ქარხნისათვის, რადიოელექტრონული კომპონენტების ქარხნისათვის კომპლექსური მოწყობილობის, ამიაკადენის მშენებლობისათვის მოწყობილობის მიწოდების კონტრაქტებისა და მოსკოვში სასტუმრო კომპლექსის მშენებლობის შეთანხმების გამო, რომლებიც ვიზიტის პერიოდში დაიდო.

მხარეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ, ნავთობისა და გაზის მოპოვების დარგში თანამშრომლობის ურთიერთხელსაყრელი ფორმების შემუშავება; ისინი ხელს შეუწყობენ ნავთობისა და გაზის საბადოების დაზვერვა-დამუშავების დარგში ორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანიზაციებისა და საწარმოების შემდგომ განვითარებას.

მხარეები ეცდებიან კიდევ უფრო გაფართოონ და გაღრმავონ მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, ამასთან დაეყრდნონ მიღწეულ დადებით გამოცდილებას ინელმძღვანელონ ამ სფეროებით, რომ კიდევ უფრო ეფექტიანი და შეწონასწორებული გახადონ თავიანთი კავშირურთიერთობა ორმხრივი ურთიერთობის ამ დიდმნიშვნელოვან სფეროში. ისინი შეთანხმდნენ განაგრძონ ღონისძიებები, რათა მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა სულ უფრო ფართოდ უკავშირდებოდეს სამრეწველო-ეკონომიურ თანამშრომლობას ყველა დარგში, სადაც ეს შესაძლებელია. განსაკუთრებული ყურადღება დაითმობა ენერგეტიკის პრობლემებს, მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენებას, კოსმოსის კვლევასა და თვისებას, გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენებას, ოკეანოლოგიას, გარემოს დაცვას, მედიცინას, შენებლობას, ქალაქთმშენებლობას, არქიტექტურას, სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობასა და ქიმანათმრის მოპოვების ტექნოლოგიას, აგრეთვე ფუნდამენტური კვლევის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ასპექტებს.

მხარეებმა განიკანდეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უზრუნველყონ ხელოვნების, განათლების, კულტურისა და მეცნიერების დარგში ორი ქვეყნის გაცვლისა და თანამშრომლობის მოცულობის მნიშვნელოვანი გაფართოება და მათი ხარისხის ამაღლება.

ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან განიხილონ ამ მიზნების შესაბამისი კულტურული შეთანხმების დადების საკითხი.

მხარეები აღნიშნავენ, რომ მზად არიან განიხილონ ორივე ქვეყნის ახალგაზრდობის, მათ შორის მოსწავლე ახალგაზრდობის შეხვედრების გაფართოების საკითხი.

მხარეები განახორციელებენ დამატებით ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ საფრანგეთში რუსული ენისა და სსრ კავშირში ფრანგული ენის სწავლების გაფართოება როგორც საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ისე მოზრდილთათვის სწავლების დარგლებში.

მხარეები ეცდებიან გამონახონ შესაძლებლობა, რომ შესაბამისად სსრ კავშირსა და საფრანგეთში შექმნან მუშაობისა და ყოფნის ისეთი პირობები, რომლებიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს საბჭოთა და ფრანგი სპეციალისტების ეფექტიან მონაწილეობას ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ თანამშრომლობაში.

მხარეებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ სასარგებლოა კონტაქტები, რომლებიც ხორციელდება სამხედრო ბაზით, და მხარი დაუჭირეს ასეთი გაცვლის განგრძობას, რომელიც განამტკიცებს ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ერთმანეთისადმი პატივისცემას.

მხარეები კმაყოფილებას გამოთქვამენ ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შეთანხმების, სამოქალაქო ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის დარგში თანამშრომლობის შეთანხმების, აგრეთვე ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერის გამო. მათი აზრით, ეს დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებები სასაკუთრო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით შესაბამის დარგებში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობების განვითარების ახალ პერსპექტივებს.

• • •

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობის გრძნობების განვითარებას. მათი აზრით, ამ მეგობრული გრძნობების შემდგომი განმტკიცება ხელს შეუწყობს ისეთი დიდი ამოცანების გადაწყვეტისათვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას, რომლებსაც სსრ კავშირი და საფრანგეთი ერთად ისახავენ ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის და უშიშროების განტკიცების საქმეში. საბჭოთა და ფრანგი ხალხების მეგობრობა უფლებას გვაძლევს რწმენით ვუყურებდეთ ორი ქვეყნის თანამშრომლობის მომავალს.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ სსრ კავშირში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ'ესტენის ვიზიტი და ამ ვიზიტის დროს გამართული საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკება ნაყოფიერი იყო. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ ვიზიტის შედეგები ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარების საქმეს, ევროპაში და მთლიანად საერთაშორისო ასპარეზზე ვითარების გაუმჯობესებას.

ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲭᲕᲔᲚᲐᲓ!

საკვების დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 18 ოქტომბრისათვის

(პროცენტობით)

				მათ შორის	
	სულ უხეშ საკვებზე*	თივაზე	სენაჟზე**	სხვა უხეშ საკვებზე	ბზა სილოსი
ახალქალაქის	111	106	105	78	41
ბოგდანოვკის	105	86	103	85	96
ახალციხის	134	107	106	107	57
ადიგენის	160	151	108	97	64
ასპინძის	140	101	102	86	77
ხაშურის	160	150	149	107	90
ქარელის	119	112	106	99	95
გორის	136	141	127	87	67
კასპის	100	88	116	79	32
ბორჯომის	122	90	125	114	62
საგარეჯოს	121	111	88	101	36
გურჯაანის	122	95	130	69	86
სიღნაღის	121	170	77	100	28
წითელწყაროს	118	122	103	105	55
თელავის	104	120	82	88	41
ახმეტის	113	88	83	94	39
ყვარლის	121	80	77	95	51
ლაგოდეხის	95	88	58	89	46
გარდაბნის	155	144	104	119	51
მცხეთის	125	136	102	60	29
მარნეულის	128	80	155	107	54
ბოლნისის	97	73	68	73	25
წალკის	82	67	105	35	43
დუშეთის	112	92	110	117	33
თეთრიწყაროს	100	83	99	69	30
დმანისის	104	99	100	65	98
თიანეთის	115	79	136	69	39
ქაზბეგის	66	66	—	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	109	90	102	81	31
წყალტუბოს	45	216	108	9	68
სამტრედიის	46	112	112	8	92
წულუკიძის	33	80	68	5	77
ვანის	66	197	100	10	86
მაიაკოვსკის	117	351	112	75	107
ზესტაფონის	82	102	90	60	88
თერჯოლის	71	270	154	39	88
ჭიათურის					
საქალაქო საბჭო	87	180	107	56	42
საჩხერის	72	122	109	43	70
ორჯონიკიძის	79	129	100	57	98
ტყიბულის					
საქალაქო საბჭო	48	251	101	12	26
ონის	111	114	104	37	68
ამბროლაურის	95	111	100	60	63
ცაგერის	59	120	102	1	60
ლენტეხის	104	99	100	123	—
აბაშის	43	136	102	—	134
ცხაკაიას	59	84	100	02	102
გეგეჭკორის	31	117	108	—	91
ზუგდიდის	45	100	91	1	74
ხობის	42	100	100	—	100
წალენჯიხის	57	92	116	4	75
ჩხოროწყუს	43	84	100	1	90
მახარაძის	46	115	124	—	80
ლანჩხუთის	57	56	189	1	120
ჩოხატაურის	76	141	123	6	86
აფხაზეთის ასსრ	48	114	75	1	38
აჭარის ასსრ	116	123	94	19	87
ს უ ლ	100	99	103	60	62

*) გალდებულებათა გარდა.
**) გეგმა-დავალების შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

კოლმეურნეობები და **საბჭოთა მეურნეობები** განაგრძობენ საკვების დაგროვებას საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის. რაიონების უმრავლესობამ შეასრულა უხეში საკვების — თივის, ნამჯის დამზადების გეგმები, სენაჟისა კი გეგმა-დავალება. მთლიანად რესპუბლიკაში ყველა სახეობის უხეში საკვების დამზადების გეგმა რეალიზებულია 100 პროცენტით. ეს მიღწეულია დავალებათა გადაჭარბებით შესრულების მეოხებით. ჯერ კიდევ არის მეურნეობები წულუკიძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში, სადაც სათანადოდ არ ზრუნავენ ფურაჟით პირუტყვის უზრუნველყოფისათვის.

სილოსის დამზადების გეგმა შეასრულეს და საკმაო რაოდენობის მზა სილოსი აქვთ აბაშის, ხობის, ცხაკაიას, მაიაკოვსკისა და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. საცაა სილოსის ჩადების დავალებებს შეასრულებენ გურჯაანის, ბოგდანოვკის, ნაშურის, დმანისის, ქარელის, ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის რაიონებისა და აჭარის ასს რესპუბლიკის საკვების მომპოვებლები. შეშფოთებას იწვევს სილოსის დამზადების მიმდინარეობა კასპის, მცხეთის, ბოლნისის, თეთრი წყაროსა და ზოგიერთ სხვა რაიონში, აგრეთვე აფხაზეთის ასს. რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც გეგმები სანახევროდაც არ შესრულებულა.

საკვების დამზადების დრო იწურება. ეს ყველგან უნდა გაითვალისწინონ და ყველაფერი იღონონ, რათა საზოგადოებრივი მეცხოველეობა უზრუნველყონ მაძღარი გამოზამთრებით. (საინფორმი).

საუბარი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში

თბილისში მყოფი ნიდერლანდის ელჩი სსრ კავშირში ი. ლ. ჰეიდეკამერ გან ნიგეტვეიტი 17 ოქტომბერს ეწვია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ბ. თ. ლობჟანიძეს. გაიმართა საუბარი, რომლის დროს ელჩს გააცნეს საქართველოს დედაქალაქის მრეწველობა, კულტურა და საქალაქო მეურნეობა, ამ ძველი ქალაქის განვითარების პერსპექტივები.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ სგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ნ. გორდელაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ტ. რიგვავა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი დ. ბ. ბოკერია, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგე გ. გ. შარაშიძე და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე. (საინფორმი).

ᲞᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ამბ. ა. ჯ. საყვარელიძე დანიშნულია აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. (საინფორმი).

სსრ კავშირის ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

საფრანგეთის პრეზიდენტმა ვალერი ჟისკარ დ'ესტენი და მისმა მეუღლემ 17 ოქტომბერს საფრანგეთის საელჩოში საუზმე გამართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სხვა ოფიციალური პირნი.

საფრანგეთის მხრივ საუზმეზე იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტის თანმხლები სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ჟ. ვიმონი.

სტუმრებს სიტყვით მიმართა ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა.

ვ. ჟისკარ დ'ესტენის სიტყვა

ბატონო გენერალური მდივანო!

ბატონო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეო!

ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო!

ბატონებო!

ჩემთვის საპატიო და სასიამოვნოა მიგიღოთ ამ, საფრანგეთის სახლში, და მივესალმო ყველა აქ დამსწრე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს.

რაკი თქვენს ქვეყანაში ჩემი ყოფნა დასასრულს უახლოვდება, მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით, რათა მადლობა გადაგიხადოთ ჩემი ვიზიტის შესანიშნავი ორგანიზაციისათვის და მთელი იმ ყურადღებისთვის, რომელიც ესოდენ გულუხვად გამოიჩინეთ ქალბატონი ჟისკარ დ. ესტენისა და ჩემს მიმართ თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს.

თქვენს ქვეყანაში ჩემი მოგზაურობის თვითეულ ეტაპს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ღრმად აღმებეჭდა მეხსიერებაში. ისინია პოლიანამ დამახსოვა, რაოდენ ნაყოფიერი ყოფილა ყოველთვის ფრანგული და რუსული კულტურების შეხვედრა.

და, ბოლოს, გუშინ ესოდენ სასტიკად დანგრეულ, დღეს ესოდენ გაცბოვებულ და აქტიურ რუსული ქალაქების დედაკიევში ვფიქრობდი თქვენთან ერთად გახარებულ და დამაბულ განსაცდელზე.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ისტორიული აუცილებლობა, აგრეთვე ჩვენი ხალხების დიდი სურვილია. ეი რატომ მახარებს, რომ ამ სადამის საბჭოთა ტელევიზიით საშუალება მომეცემა თქვენს თანამემამულეებს, ბატონო გენერალური მდივანო, გავაცნო ფრანგი ხალხის ცხოვრება.

ჩვენს თანამშრომლობას აქვს ის ღრმა აზრი, რომელიც ბატონ ბრეჟნევსა და მე გვსურს მას მივანიჭოთ, და ამით ხაზი გავუსვათ ჩვენი შეხვედრების, ჩვენი საუბრების მნიშვნელობას. მე ვფიქრობ, თუ რაოდენ არსებითი როლი შეასრულა საკმა ეროვნულ-ეკონომიკურ კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, რომელიც განუწყვეტლივ ათი წლის მანძილზე პირადად უწყობდა ხელს ჩვენი კონსულტაციების, ჩვენი გაცვლის განვითარებასა და საერთოდ დაძაბულობის შენელებას.

ჩვენს ორ ქვეყანას შორის გაჭიმობა ერთიორად და მეტად გაიზარდა 1969 და 1974 წლებს შუა პერიოდში, დი იგი, ჩემი აზრით, უნდა გაორკეცდეს და გასამეცდეს კიდეც უახლოეს ხუთ წელიწადში. ის კონტრაქტები, რომლებიც უკვე დიდო და რომლებიც მზადდება, სამუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს ფრიად გაბედული მიზანი შეესაბამება ჩვენს შესაძლებლობებს, ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას. მართლაც, საქმე მარტო იმას კი არ ეხება, რომ ერთმანეთს გაეცალოთ საქონელი, არამედ იმასაც, რომ მოეაწყოთ შემდგომი პერიოდისათვის ჩვენი ორი ქვეყნის ინჟინერთა და მშრომელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების ერთობლივი მუშაობა. ორი შეთანხმება, რომლებსაც ჩვენი მინისტრები ხელს მოაწერენ რამდენიმე საათის შემდეგ, სწორედ ამ პერსპექტივებს სახავს ენერგეტიკისა და საგაიაციო მრეწველობის, აგრეთვე ტურიზმის დარგში.

მოცულობის შეცვლასთან ერთად იცვლება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ხასიათიც. იგი გვავალებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ ჰუმანიტარულ მხარეს, გაეუადგილოთ მუშაობა ჩვენს საქმიან ადამიანებს, ჩვენს მეცნიერებს, წვაიანალისთა რუსული ენის შესწავლის საფრანგეთში და ფრანგული ენისა — საბჭოთა კავშირში, განვავითაროთ საუნივერსიტეტო, ინტელექტუალური და ტურისტული კონტაქტები. სავსებით გვაქვს შეგნებული იმ ახალი ეტაპის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც ვიწყებთ. ამიერიდან მზად ვართ რეგულარული ხასიათი მივანიჭოთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის უმაღლესი დონის შეხვედრებს. ძალიან მოხარული ვიქნებით, გენერალურო მდივანო, მოგესალმთ თქვენ, ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსულს საფრანგეთში.

ასეთია სულისკვეთება, რომელთაც ვმუშაობდით თქვენთან ერთად ამ ვიზიტის მანძილზე. ამით შთაგონებული ვადლეგრძელებ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ პოდგორნის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ კოსიგინს, გადაეგრძელებო თქვენ, ქალბატონო ბრეჟნევა, აგრეთვე ბედნიერებასა და კეთილდღეობას ეუსურვებ ყველა აქ დამსწრე საბჭოთა ხელმძღვანელსა და ყველას იმათ, ვინც მუშაობს ან მოსკოვში, ან თქვენი ქვეყნის სხვა ადგილს, და სხვა სახელმწიფოებში ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის საკეთილდღეოდ. ვადლეგრძელებ ორ დიდ ხალხს, რომლებიც ისტორიამ დაახლოვა, და ჩვენი ვალია სრული და ღრმა თანამშრომლობა დავამყაროთ მათ შორის.

• • •

სამსახური სიტყვა წარმოთქვა ნ. ვ. პოდგორნიმ.

ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

პატივცემულო ქალბატონო ჟისკარ დ' ესტენ,

ქალბატონებო და ბატონებო,

ამხანაგებო!

ყველა აქ დამსწრე საბჭოთა სტუმრის სახელით მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი ხალხის, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის, ჩვენი ურთიერთობის მიმართ გამოთქმული კეთილი სიტყვებისათვის. ჩვენი მხრივ დიდად ვაფასებთ საფრანგეთთან ურთიერთობას, მის ღონისძიებებს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებაში ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საკეთილდღეოდ.

ჩვენი ხალხი ძველთაგანვე ტრადიციული სიმპათიებით არის გამსჭვალული ფრანგი ხალხისადმი, ამითაც გამოხატავს უდიდეს პატივისცემას ფრანგების თავისუფლებისმოყვარეობისადმი, მათი ბრწყინვალე ნიჭისადმი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ვლინდება სულ სხვადასხვა სფეროებში, საფრანგეთის რევოლუციის დროიდან დიდ განმანათლებელთა მოწინავე იდეებით დაწყებული და მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დარგის თანამდროვეთ მიღწევებით დამთავრებული. ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანაში, გასცნობიერებრთ მის ისტორიასა და კულტურას, თქვენმა, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ახლადდანმა ოფიციალურმა ვიზიტმა, ჩვენი აზრით, ახალი შთაბეჭდილებებით გაგამდიდრათ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის შესახებ.

იქედან გვაქვს, რომ მოსკოვიდანაც და კიევიდანაც თქვენ თან წაგაყვანთ კარგი მოგონებები და რწმენა, რომ საბჭოთა ხალხი ურყევად ესწრაფვის მშვიდობას. ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობისმოყვარული მისწრაფებები ღრმად დამახასიათებელია ფრანგი ხალხისთვისაც. ამიტომ, როცა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების შედეგად ახალ მაჯუნს გაიღებენ მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ამან შეიძლება მხოლოდ კმაყოფილება გამოიწვიოს ჩვენი ქვეყნების ხალხებში. და არა მარტო ჩვენი ქვეყნებისა.

საბჭოთა კავშირს, საფრანგეთისა და სხვა დიდ სახელმწიფოებს განსაკუთრებული პასუხისმგებ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ

საბჭოთა კავშირ-ერაყის მშვიდობიანი ატომი

ᲑᲐᲓᲓᲐᲓᲘ. საკდესის კორესპონდენტი ვ. კორზენევი გვატყობინებს: ერაყის ტუვაიტის (ბაღდადის გარეუბანი) ატომური კვლევის ინსტიტუტი ამ პროფილის ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა რესპუბლიკაში. 7 წელზე მეტი ხნის წინათ აქ მუშაობა დაიწყო ატომურმა რეაქტორმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აშენდა. ეწმინდა თეორიულ მუშაობასთან ერთად ინსტიტუტში მიმდინარეობს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის კვლევაც. მისმა ბევრმა მეცნიერმა თანამშრომელმა დამთავრა საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები ან გაიარა სტაჟირება საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირ-ერაყის თანამშრომლობა ამ დარგში კიდევ უფრო განვითარდა იმასთან დაკავშირებით, რომ წელს აპრილში დაიდო მთავრობათაშორისი შეთანხმება მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში. შეთანხმება ითვალისწინებს მეცნიერ მუშაკთა მივლინებებს, სამეცნიერო თემების ერთად დამუშავებასა და სხვა ღონისძიებებს.

ამ დღეებში წარმატებით დამთავრდა საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „ატომენერგოეექსპორტის“ წარმომადგენლებისა და ერაყის ატომური ენერგიის კომისიის მოლაპარაკება. მხარეებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის შესაბამისად საბჭოთა მხარე განახორციელებს ტუვაიტში დადგმული ატომური რეაქტორის მოდერნიზაციას, უზრუნველყოფს მას სათადარიგო ნაწილებით და გამოგზავნის სპეციალისტებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

ᲨᲕᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, (საკდესი). აქ გამოაცხადეს, რომ შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ ეკონომიკური მეცნიერების დარგის 1975 წლის ნობელის პრემია მიანიჭა ხაბჭოთა მათემატიკოს პროფესორ ლ. ვ. კანტოროვისა და ამერიკელ პროფესორ ჩ. კუპმანსს.

პრემია მიენიჭათ ეკონომიკაში რესურსების ოპტიმალური გამოყენების თეორიის შემუშავებაში შეტანილი წვლილისათვის.

გმოგენ ხუნტის დანაშაულოგენს

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, (საკდესის კორ.). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური სამუშაო ჯგუფის მოხსენება, რომელიც ნამდვილი საბრალდებო განაჩენია ჩილეს სამხედრო-ფაშისტური ხუნტისათვის.**

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1973 წლის 11 სექტემბრის სისხლიან გადატრიალებას მოჰყვა მწყაფე სამინო დაძაბულობის პერიოდი. „ბევრი დახოცეს, ბევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ათასობით კაცი დაატიმრეს“.

მოხსენებაში გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ხუნტას, მძლავრი საერთაშორისო პროტესტების მიუხედავად, კვლავ საპყრობილეებში ჰყავს ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა პოლიტიკური პატიმრნი.

მოხსენების ერთ-ერთ კარში ლაპარაკია ჩილეს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ასეთია ჩილეში სამხედრო-ფაშისტური ხუნტის ორი წლის მართვა-გამგეობის ტრაგიკული შედეგები.

უთანხმოება კვლავ რჩება

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის კონფერენციის მომწყობმა მოსამზადებელმა თათბირმა. მისი მონაწილეები შეთანხმდნენ მოაწყონ კონფერენცია მინისტრთა დონეზე 16 დეკემბერს პარიზში. აქ შეკრებებიან 27 განვითარებული სამრეწველო კაპიტალისტური და განვითარებადი სახელმწიფოს წარმომადგენლები.

მომავალ კონფერენციაზე განსახილველად იმ ოთხი კომისიის შემადგენლობასა და ამოცანებს, რომლებიც შეისწავლიან ენერგეტიკის, ნედლეულის რესურსების, ეკონომიკური განვითარების საკითხებს და საკალუტო საფინანსო პრობლემებს, გათვალისწინებულია, რომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მოეწყობა საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის მეორე კონფერენცია, რომელზეც შეაჯამებენ კომისიების მუშაობის შედეგებს.

მოსამზადებელმა თათბირმა დაადასტურა მონაწილეთა სერიოზული უთანხმოებანი. ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა ქვეყნები განვითარებადი სახელმწიფოების თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ კვლავ ცდილობდნენ კონფერენციისათვის მიეცათ უფრო ვიწრო ხასიათი, დასჯერებოდნენ უშუალოდ ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას. ამას, კერძოდ, მოწმობს ამერიკის შეეთებული შტატების დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ პირველმა კომისიამ ძირითადად იმუშაოს ნავთობის ფასებისა და მისი მიწოდების უზრუნველყოფის საკითხებზე. როგორც ცნობილია, განვითარებადი ქვეყნები მხარს უჭერენ საერთაშორისო ეკონომიური და სავალუტო-საფინანსო პრობლემების მთელი კომპლექსის განხილვას, რათა ბოლო მოუღონ თავიანთ არათანასწორუფლებიან მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

არსებობს სხვა წინააღმდეგობანიც, რომლებსაც შეუძლიათ გაართულონ კონფერენციის მომზადება. მათ შორის არის ინგლისს მოთხოვნა, რომ ამ კონფერენციაზე იყოს წარმოდგენილი დამოუკიდებლად, რაც ეწინააღმდეგება „საერთო ბაზრის“ სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებას — კონფერენციაზე გაგზავნონ ამ დაჯგუფების ერთი წარმომადგენელი.

ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲡ

ᲙᲐᲘᲠᲝ. (საკდესი). არაბული ქვეყნების ლიგის წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო სხდომაზე, რომელიც არაბული ქვეყნების ლიგის შტაბ-ბინაში მიმდინარეობდა დაბურულ დარბაზში, მიიღეს გადაწყვეტილება შექმნან კომიტეტი, რომელშიც შეეკრნენ ლიბანის, კუვეიტის, არაბთა გაერთიანებული ემირატების საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე არაბული ქვეყნების ლიგის გენერალური მდივანი.

მომავალ კონფერენციაზე განსახილველად იმ ოთხი კომისიის შემადგენლობასა და ამოცანებს, რომლებიც შეისწავლიან ენერგეტიკის, ნედლეულის რესურსების, ეკონომიკური განვითარების საკითხებს და საკალუტო საფინანსო პრობლემებს, გათვალისწინებულია, რომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მოეწყობა საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის მეორე კონფერენცია, რომელზეც შეაჯამებენ კომისიების მუშაობის შედეგებს.

მოსამზადებელმა თათბირმა დადასტურა მონაწილეთა სერიოზული უთანხმოებანი. ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა ქვეყნები განვითარებადი სახელმწიფოების თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ კვლავ

ᲙᲝᲕᲖᲘᲜᲐᲪᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐᲗ

ᲐᲛᲐᲜᲘ. (საკდესი). ისრაელის ხელისუფალნი ცდილობენ მიტაცებული არაბული ტერიტორიების მკვიდრ მოსახლეობას მონაწილეობა მიიღებინონ „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში“.

როგორც გაზეთი „აღ-ღუსტური“ იუწყება, ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შ. პერესმა ამ დღეებში მოიხმო გალილეიან პალესტინელთა — ღაზის სექტორის მცხოვრებთა ჯგუფი, რათა დაეთანხმებინა ისინი მონაწილეობა მიეღოთ ღაზის „ადგილობრივი საბჭოს“ ჩამოყალიბებაში. მაგრამ ამ მოლაპარაკებაში განაცხადეს, რომ ღაზელთა აზრით ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაჭრის გზა ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანა ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან. მათ ხაზი გაუსვეს, რომ არც ერთი გადაწყვეტა არ იქნება მტკიცე და სამართლიანი, თუ არ გათვალისწინებს პალესტინელთა კანონიერ უფლებებს.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ისრაელი გაყალბებული არჩევნები უარყოფს აგრეთვე მდინარე იორდანიის დასავლეთ ნაპირის პალესტინის ქალაქების მერებმა და სოფლების მამასახლისებმა.

17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲙᲝᲕᲖᲘᲜᲐᲪᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐᲗ

ᲐᲛᲐᲜᲘ. (საკდესი). ისრაელის ხელისუფალნი ცდილობენ მიტაცებული არაბული ტერიტორიების მკვიდრ მოსახლეობას მონაწილეობა მიიღებინონ „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში“.

როგორც გაზეთი „აღ-ღუსტური“ იუწყება, ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შ. პერესმა ამ დღეებში მოიხმო გალილეიან პალესტინელთა — ღაზის სექტორის მცხოვრებთა ჯგუფი, რათა დაეთანხმებინა ისინი მონაწილეობა მიეღოთ ღაზის „ადგილობრივი საბჭოს“ ჩამოყალიბებაში. მაგრამ ამ მოლაპარაკებაში განაცხადეს, რომ ღაზელთა აზრით ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაჭრის გზა ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანა ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან. მათ ხაზი გაუსვეს, რომ არც ერთი გადაწყვეტა არ იქნება მტკიცე და სამართლიანი, თუ არ გათვალისწინებს პალესტინელთა კანონიერ უფლებებს.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ისრაელი გაყალბებული არჩევნები უარყოფენ აგრეთვე მდინარე იორდანიის დასავლეთ ნაპირის პალესტინის ქალაქების მერებმა და სოფლების მამასახლისებმა.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ

20-24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში გაიმართება ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონგრესი. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელნი, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, წარმოების მოწინავეები, ცნობილი მეცნიერები და კულტურის ოსტატები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები. საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა დელეგაციის ხელმძღვანელს, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის გმირს, სსრ კავშირის კომსომოლის მინდობილ პირს ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲜᲘᲝᲚᲝᲪᲐᲕᲐᲢᲠᲔᲨᲝᲛᲐᲡ გაეზიარებინა თავისი აზრი მომავალ კონგრესთან დაკავშირებით.

— ქალთა თანასწორუფლებიანობის, თავიანთი ქვეყნების ცხოვრებაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში მათი აქტიური მონაწილეობის საკითხებს, — თქვა ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ, — ჩვენს დროში აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება. ქალები ახლა ქმნიან კაცობრიობის მთელ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა მესამედზე მეტს. ისინი უდიდეს როლს ასრულებენ რევოლუციურ პროცესებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ხალხთა საყოველთაო უშიშროებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ამიტომ კანონზომიერია ის უდიდესი ინტერესი, რომელსაც ბერლინის მსოფლიო კონგრესი იწვევს. იგი იქნება მსოფლიო საზოგადებრივობის ყველა მიღების ადგილი. მსაბრივი ფორუმი ქალის საერთაშორისო წლის ფარგლებში. ამ ფორუმში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს 100 საერთაშორისო და რეგიონალურმა ორგანიზაციამ, 120-ზე მეტი ქვეყნის დელეგაციებმა.

კონგრესისათვის მზადება, თვით შეხვედრა მიმდინარეობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ხალხთა მშვიდობისა და უმშიშროების იდეალების პრაქტიკული განმტკიცებისათვის ბრძოლის პროცესში. ამ კეთილმყოფელი პროცესისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციას, ჩვენი პარტიის შემდგომ სამშვიდობო ინიციატივებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ საქმიანობას.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო გამუდმებით ზრუნავენ ამისათვის, რომ ფართო მონაწილეობა მიიღებინონ ქალებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირში, სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში განხორციელებულია ქალთა სრული თანასწორუფლებიანობა. ჩვენ მზადა ვართ სსრ კავშირში ქალის საკითხის გადაჭრის გამოცდილება გავუზიაროთ კონგრესის დელეგატებს. ჩვენი დელეგაციის წევრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიებში ცხრავე კომისიაში, რომლებიც იმუშავებენ ფორუმის ფარგლებში. ისინი მოიცავენ პრობლემების ფართო წრეს, როგორიც არის ქალთა თანასწორუფლებიანობა საზოგადოებაში, მათი მონაწილეობა თავიანთი ქვეყნების განვითარებაში, შრომისა და მისი თანაბარი ანაზღაურების, განათლების უფლების უზრუნველყოფა, პროფესიული მომზადება, ქალის როლი მოზრდილი თაობის აღზრდაში. კონგრესზე უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიკავებს ისეთი საკითხები, როგორიც არის ქალთა მონაწილეობა მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, განიარაღებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. მსოფლიოს ქალებს სულ უფრო კარგად ესმით, რომ მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა მჭიდროდ დაკავშირებულია ამ პრობლემების გადაჭრასთან. საბჭოთა დელეგატები გამოთქვამენ სოლიდარობას ხალხებისადმი, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ იბრძვიან, მტკიცეს პროტესტს განაცხადებენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა ქალებს მიაჩნიათ, რომ ქალის საერთაშორისო წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი აქციაა. მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენს ქვეყანაში. წლის ფარგლებში წარმატებით ჩაიარა საერთაშორისო, რეგიონალურმა და ეროვნულმა კონფერენციებმა, სემინარებმა. ქალაშვილთა მსოფლიო შეხვედრა, რომელიც 17 ოქტომბერს დამთავრდა მოსკოვში, მოწმობს ახალგაზრდა ქალთა პოლიტიკურ აქტიურობას და იმის შეგნებას, რომ მათ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა აკისრიათ უმნიშვნელოვანესი სოციალური და საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

ბერლინის მსოფლიო კონგრესი, განაცხადა დასასრულ ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდება იმ ძალების შემდგომ შეკავშირებაში, რომლებიც მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ქალთა თანასწორუფლებიანობისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲢᲝᲛᲘ

ᲑᲐᲓᲓᲐᲓᲘ. საკდესის კორესპონდენტი ნ. ბორზენკოვი გვატყობინებს: ერაყის ტუვაიტის (ბაღდადის გარეუბანი) ატომური კვლევის ინსტიტუტი ამ პროფილის ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა რესპუბლიკაში. 7 წელზე მეტი ხნის წინათ აქ მუშაობა დაიწყო ატომურმა რეაქტორმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით აშენდა. ეწმინდა თეორიულ მუშაობასთან ერთად ინსტიტუტში მიმდინარეობს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის კვლევაც. მისმა ბევრმა მეცნიერმა თანამშრომელმა დამთავრა საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები ან გაიარა სტაჟირება საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირ-ერაყის თანამშრომლობა ამ დარგში კიდევ უფრო განვითარდა იმასთან დაკავშირებით, რომ წელს აპრილში დაიდო მთავრობათაშორისი შეთანხმება მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში. შეთანხმება ითვალისწინებს მეცნიერ მუშაკთა მივლინებებს, სამეცნიერო თემების ერთად დამუშავებასა და სხვა ღონისძიებებს.

ამ დღეებში წარმატებით დამთავრდა საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „ატომენერგოეექსპორტის“ წარმომადგენლებისა და ერაყის ატომური ენერგიის კომისიის მოლაპარაკება. მხარეებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის შესაბამისად საბჭოთა მხარე განახორციელებს ტუვაიტში დადგმული ატომური რეაქტორის მოდერნიზაციას, უზრუნველყოფს მას სათადარიგო ნაწილებით და გამოგზავნის სპეციალისტებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲚᲕᲐ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ?

ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ შენელების პირობებში მრავალი წლის მანძილზე მსოფლიოში პირველად წარმოშვა ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების პირობები, რომელთა შედეგად პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას დაემატებოდა სამხედრო დაძაბულობის შენელება და ბოლო მოეღებოდა გამალებულ შეიარაღებას. ასეთი ღონისძიებანი შეესაბამება როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოების ინტერესებს — თავიანთი უშიშროების განმტკიცებითა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფით დაინტერესებული ყველა ხალხის ინტერესებს.

სამხედრო დაძაბულობის შენელების აუცილებლობა ცხადია არა მარტო ცენტრალურ ევროპაში, არამედ კონფლიქტების ცენტრ მოძველებულ და ყველაზე საშიშ კერებში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი — რაიონი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საბჭოთა კავშირისა და ბალკანეთში სოციალისტური სახელმწიფოების სამხრეთ საზღვრებს.

მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე ახლო აღმოსავლეთში აო ყოფილა ნამდვილი მშვიდობა. ამ სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან რაიონში ქვანახშირის უზარმაზარი მარაგისადმი კონტროლის შენარჩუნებით დაინტერესებული იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და ნავთობის მონოოლიების ძირგამომხრელმა სქემიანობამ, მათ მიერ არაბული აღმოსავლეთის ანდერძად ისრაელის გამოყენებამ გააღრმავეს და გაამწვავეს ლოკალური უთანხმოებანი. ოთხჯერ — 1948-49, 1956, 1967 და 1973 წლებში არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მბჟუტავმა ღადარმა გამოიწვია ომის საშიში აფეთქებანი, რომლებიც გარდუვალი ხდებოდა იმის გამო, რომ იმპერიალიზმი აქეზებდა ისრაელის ექსპანსიონისტურ და აგრესიულ პოლიტიკას არაბული ქვეყნების მიმართ.

ისრაელის ჯარების გაყვანა 1967 წლის აგრესიის შედეგად მის მიერ ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების, მათ შორის პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს უფლების უზრუნველყოფა. ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების უფლებათა გარანტირება — ასეთია მთავარი პირობები, რომელთა გარეშე შეუძლებელია სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში.

ამ საფუძველზე ჟენევის საზაო კონფერენციის ფარგლებში ეროვნულმომავალი პოლიტიკური მოწესრიგების გზების წარმატებული ძიებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას. ამასთან ისრაელის დაჩქარებული შეიარაღების კურსი აღრმავებს ისედაც ძაბულ სიტუაციას. ამ დღეებში ტელ-ავივში პენტაგონის წარმომადგენელთა ჯგუფი აწარმოებს მოლაპარაკებას ისრაელის არმიისთვის უახლესი შეტევითი იარაღის დიდი პარტიის მიწოდების შესახებ. როგორც ჩანს ბრესნევ-ალარული ცნობებიდან, რომლებიც ეხება ამერიკა-ისრაელის საიდუმლო მემორანდუმს, რომელსაც ხელი მოაწერეს სინის ნახევარკუნძულზე ჯარების დაშორიშორების შესახებ ეგვიპტე-ისრაელის შეთანხმების დადებასთან ერთად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აკისრა ძიმდანარე საფინანსო წელს ისრაელი მიაწოდოს 2 მილიარდ დოლარზე მეტი თანხის იარაღი და დათანხმდა დაფინანსოს ეს მიწოდებანი. საქმე ეხება ისეთ უახლეს ტანკებსა, როგორიცაა „ფ-16“ რეაქტიული თვითმფრინავები და „ლედამიწა-ლედამიწა“ კლასის „პერშინგის“ რაკეტები, როსლებსაც შეუძლიათ ატომური მუხტების ტარება. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, „პერშინგის“ რაკეტის აქვთ მოქმედების საკმარისი რადიუსი, რათა დარტყმა მიაყენონ კაიროს, იორდანის ყოველ წერტილს, სირიის შეტ ნაწილსა და ერაყისა და საუდის არაბეთის ვრცელ რაიონებს. სავსებით ბუნებრივია, რომ მზარდი საფრთხის წინაშე არაბული სახელმწიფოები „იძულებული გახდებიან ეძებონ მისი ნეიტრალიზაციის გზები და საშუალებანი, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ფაჰმმ აღიარა, რომ „ასეთი იარაღი ისრაელის ხელში სეროზულად არღვევს ძალების წონასწორობას ახლო აღმოსავლეთში და მთელ რაიონს ჩაითრევს ახალ გამალებულ შეიარაღებაში ისეთ საშიშ დონეზე, რომელიც გარდუვალად გამოიწვევს დაძაბულობის ზრდას“.

ფაქტები მოწმობენ, რომ ისრაელის შეიარაღების პოლიტიკა პენტაგონის იმ საერთო კურსის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურის ზონაში გამალებული შეიარაღების დაჩქარებას. პენტაგონმა, რომელიც ცდილობს გამოაცოცხლოს და გააქტიუროს სენტოს სამხედრო ბლოკი, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მკვეთრად გაუზარდა ისრაელის მიწოდება ირანს. ამიგომ დროს ხორციელდება სპეციალ არაბეთის შეიარაღების პროგრამა, სადაც შენარჩუნებული ამერიკის ნავთობის მონოპოლიათა დიდი ხუთეულის უპირატესი გავლენა. ეკონომიკურ „ფორინ ეფერსს“ მონაცემებით, სპარსეთის ყურის ქვეყნების, განსაკუთრებით ირანისა და საუდის არაბეთის შეკვეთებმა ამერიკულ ფირმებზე ახლა წელიწადში 4,4 მილიარდი დოლარი შეადგინეს. ეს საზღვარგარეთ ამერიკის იარაღის მთელი მიწოდების თითქმის ნახევარია.

დასავლეთის პროპაგანდა ცდილობს ყალბი „ჩრდილოეთის მუქარით“ გაამართლოს უახლესი იარაღის ეს ღიდი შესყიდვა იმ მასშტაბით, რომელიც ბევრად აღემატება ეროვნული თავდაცვის საჭიროებებს. მაგრამ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი თავისი ახლოაღმოსავლეთი მეზობლების მიმართ ახორციელებს მშვიდობისა და კეთილმეზობლობის თანამიმდევრულ პოლიტიკას. დასავლეთის პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწეები აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკაში სინამდვილეში არ არის არავითარი ელემენტები, რომელებიც ამართლებენ ირანისა და სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალის ზრდას. როგორც აღნიშნავს, მაგალითად, ამერიკელი სენატორი ედვარდ კენედი, „საბჭოთა კავშირის როლი სპარსეთის ყურეში და მის გარშემო ამჟამად არ მოწმობს, რომ საჭირო იყოს ან ამ რაიონის სახელმწიფოების, ან დასავლეთის სახელმწიფოების შეიარაღებისა და სამხედრო პოტენციალის მნიშვნელოვანი ზრდა“.

აკვლევს რა ნამდვილ მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელობს პენტაგონი, როცა აიარაღებს ირანს, ჟურნალი „ჰარპერს მეგაზინი“ ბაზგასმით აღნიშნავს: „სახელმწიფო დეპარტამენტის თანამდებობის პირნი გამოთქვამენ რწმენას, რომ ირანი დაიცავს ძერიკის ინტერესებს და რომ მისი შეიარაღებული ძალები იმოქმედებენ ამერიკის ჯარებ ის ნაცვლად, რომელებიც ვიეტნამის ომის დროიდან აო შეიძლება გამოგზავნონ პატარა და დამორებულ ქვეყნებით“...

ახლა ამერიკული და ინგლისური საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი ირანის ჯარები უკვე მონაწილეობენ ომნში ეროვნული გათავისუფლების ძალების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებში. ადგილი ინტერვენციონისტული ღონისძიებების გაფართოების მიზნით აყენებენ სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა ახალი სამეედრო-პოლიტიკური დაჯგუფების შექმნის გეგმებს, რომელიც ფაქტიურად სეტოს აგრესიული ბლოკის დანამატი გახდებოდა.

ამავე დროს ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა გაფართონ ამერიკის სამხედრო ყოფნა ამ რაიონში. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს გამოანგარიშებით, 1980 წლისათვის სპარსეთის ყურის ზონაში სამხედრო კონტრაქტების პირობებით იქნება 150 ათასამდე ამერიკელი სპეციალისტი. ასეთი კურსის საშიშროება ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩაითრევა ვიეტნამის ავანტიურაში თავის დროზე დაიწყო სწორედ საიგონში ამერიკელი სამხედრო მრჩევლებისა და სპეციალისტების ჯგუფების გაგზავნით. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების მზარდი სამხედრო კავშირურთიერთობა, აღნიშნავს ედვარდ კენედი, „მხოლოდ ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენ, გვინდა თუ არა, ჩაგვითრევენ რომელმე კონფლიქტში“.

რაც ეეეხება თვით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, წარსულის გამოცდილება მოწმობს, რომ მათი საკუთარი ინტერესებისათვის საჭიროა ხელი შეუწყონ არა მდგომარეობის გამწვავებას, არამედ მდგომარეობის გაჯანსაღებას ამ რაიონში. აგრესიულ სამხედრო ბლოკებსა და დაჯგუფებებში მონაწილეობა და მილიტარიზაციის კურსი ეწინააღმდეგება მათს საარსებო ინტერესებს. როგორც ამ დღეებში დათხოვნილი სეატოს ორგანიზაციის მაგალითმა გვიჩვენა, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში მომავალი ეკუთვნის არა დახშულ სამხედრო ბლოკებს, არამედ მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების პოლიტიკას.

(საკდესი).

ᲒᲐᲛᲝᲒᲐᲜᲗᲐᲗᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲘᲡᲐᲨᲘ. საუბარს ან თვეზიობ ოწყებენ ან თხილამურებით. ჩვენ ადამიანებით დგინწყებთ: ლეგ ეირიქსონი... კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა. დღესაც ორი განუკერელი ცნებაა ჩვენთვის. თურმე ნორვეგიელ ვიკინგებს კოლუმბზე ხუთასი წლით ადრე აღმოუჩენიათ ამერიკა. დღეს მსოფლიოს მრავალმა მეცნიერმა აღიარა, რომ ამერიკის აღმოჩენა ნორვეგიელი ლეგ ეირიქსონია.

ვიკინგების ცხოვრებას რომ ეცნობი კვლავ, რომ ასე იქნებოდა. მსოფლიოში არავინ იმდენს არ მოგზაურობდა ახალი მიწების დასაზვერავად, რამდენსაც ვიკინგები, მასიური ხისგან გამოთლილი, ზვერწამახული და საოცრად გაბმული ხომალდებით. გაგიგიათ სადმე, რომ გლეხი თავის გუთანთან ერთად დამბარხოთ ან თანამდებობის პირისთვის ხიკვდილის შემდეგ თავისი კობინეტი ჩაეტანებინოთ საფლავში? ნორვეგიელებს ჭქონიათ მსგავსი ჩვეულება ფორეულ წარსულში: საკუთარ ხომალდებიანად. ბარხადნენ თურმე სახელგანქმულ ვიკინგებს. გასული საუკუნის მიწურულში, ოსლოს ერთ-ერთ უბანში გათხრებისას, ოცდათრმეტნიჩიან მუსის ხომალდს წააწყდნენ. გათხრების არე სწრაფად გაფართოვდა და კიდევ ორი ასეთი ხომალდი აღმოაჩინეს, თითქმის ისევე რომ იყვნენ შეინახული, როგორც 800-900 წლის წინათ ჩაუბარხავთ ვიკინგებს. ნაპოვნი ხომალდებისთვის მალე, მუზეუმები აშენდა და ტრადიციად იქცა მუზეუმებში მაკეტების ნაცვლად ნამდვილი ხომალდების დადგმა.

ასე დგას „ფრამად“ წოდებული მეორე მუზეუმში ცნობილი ნორვეგიელი ნგვალვარების ნანსენის, ამუნდსენის და სვერდრუპის ვეებერთელა ხომალდი, რომლის მეშვეობითაც სახელგანქმულმა მეცნიერებმა მსოფლიო აღმოჩენები მოახდინეს. „ფრამის“ პირდაპირ მდებარე სხვა მუზეუმებში თვალი დაცულია ტურ ჰეიერდალის ლეგენდარული „კონ-ტიკი“. ერთი რამ შეენიშნეთ: ვიდი ადგილებით ლაპარაკობდა ნანსენზე, ამუნდსენზე, სვერდრუპზე. ტურ ჰეიერდალზე კი თავშეკავებით, უხალისოდ. მიზეზი? ტურ ჰეიერდალს ნორვეგია მიუტოვებია, ბრწყინვალე მომავალი შეუძენია და იტალიაში დასახლებულა, სამუდამოდ.

დასასვენებლად — მთის ტყეში

ირიჟრაჟებს თუ არა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ეზოდან დასვენების ადგილებისაკენ მიემართებიან ავტომანქანები. განსაკუთრებით ბევრი დამსვენებელი გაემგზავრა ბოლნისის რაიონის სოფელ ფოლადაურში. ასეა ყოველ შაბათ-კვირას. ფოლადაურში მათ იზიდავთ თვალწარმტაცი ადგილები, სუფთა ჰაერი, რომელიც ყვავილებისა და წიწვნარის სუნით არის გაჟღენთილი.

ქარხანა აქ აშენებს თავის დასვენების ზონას. მთის ტყეში აშენდა პირველი კოტეჯები, გაყვანილია გზები, მოეწყო სპორტული და საბავშვო მოედნები.

(საქინფორმი).

103 წლის მესიმინდე

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს კოლმეურნემ 103 წლის მესიმინდემ თაროს ჯოპუამ 0,8 ჰექტარზე მიიღო სიმინდის უხვი მოსავალი. კოლმეურნეობის ვეტერანი საზოგადოებრივ მეურნეობას ჩაბარებს 40 ცენტნერ მარცვლეულს. (საქინფორმი).



„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე.

ქ. ქრქბული — „სათიბზე“.

ჭადრაკის ამგეგი

ალიოხინის მემორიალი

ალიოხინის მემორიალის მესამე ტურში უკვე მე-17 სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე დიდოსტატი ლენდიელი (უნგრეთი) და ბელიავსკი. საინტერესო გამოდგა სატურნირო ცხრილში საპირისპირო ადგილებზე მყოფ ინგლისელ ოსტატ სტინისა (ორი წაგება) და დიდოსტატ გელერის (ორი მოგება) შეხვედრა. სიცილიური პარტიაში რუული თამაშის შემდეგ მეტოქეები დაზავდნენ. ვაპნინამ საკმაოდ იოლად მოუგო ბორნს (ჰოლანდია). დიდოსტატმა ბირმამ (აშშ) 38-ე სვლაზე მოუგო კორჩნოის. ეს ლენინგრადელი დიდოსტატის პირველი დამარცხება. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ გელერი და ვაპნიანი.

დაძაბული მეცხრე ტური

ძალთა საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტური მეტად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. 5-საათიანი თამაშის შემდეგ მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა.

ბელოვას ჩინებული პოზიცია ჰქონდა შჩერბინასთან, მაგრამ ვერ გამოიყენა უპირატესობა და პარტია ყაიმით დამთავრდა, კიდევ უფრო განმტკიცდა თავისი სატურნირო მდგომარეობა ფომინამ, რომელმაც მოუგო სამაგანოვს. მე-18 სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე ბელაკუნეცი და გრინფელდი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

9 ტურის შემდეგ 6 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი შჩერბინა. 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს საერთაშორისო ოსტატ ჩიბურდანიძეს — მეხუთე ადგილი.

კვლავ ორი ლიდერი

კიშინიოვში პირველი ლიგის მოჭადრაკეთა ჩემპიონატზე გათამაშდა 10 ტური. ანჩიწკინმ დამარცხა ბ. გრიგორიანი, დორფმანმა — საგონი, კლოვანმა — პოდგაიცი, ბოროშტეინ-კუზმინის, ტუკმაკოვ-ჩეხოვისა და ცეშკოვსკი-ტიმოშენკოს პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

10 ტურის შემდეგ 6,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ბოროშტეინი და გულკო. ოსტატ რაშკოვსკის 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

ფორუმის შემდეგ

თბილისში დამთავრდა საჭადრაკო კომპოზიტორთა XVIII საერთაშორისო კონგრესი. განიხილეს საკომპოზიციო კოდექსის „ფიდეს ალბომების“ გამოცემების და საპატიო წოდებათა მინიჭების საკითხები. საერთაშორისო კომისიამ შეიმუშავა და დამტკიცა კომპოზიციის დიდოსტატის მინიჭების პრინციპი. მის საფუძველზე ექვს გამოჩენილ კომპოზიტორს — ნენად პეტროვიჩს (იუგოსლავია), დიერდ პაროშს (უნგრეთი), ვლადიმერ პახმანს, ინდოს ფრატზს (ორივე ჩეხოსლოვაკია), ვლადიმერ კოროლკოვს და ვლადიმერ ბორნს (ორივე — სსრკ) მიენიჭათ ეს უმაღლესი ტიტული. თბილისში საერთაშორისო ოსტატები გახდნენ ა. კაზანცევი, ა. კოსნინი, ე. უფნოვი (ყველა — სსრკ), ჰ. კნისტი, გ. ლატიცული (ორივე — გერ), ჭ. ნიმიერი (ჰოლანდია) და ჯ. ანდერსონი (ინგლისი).

დიდი წარმატება ხვდა საერთაშორისო ბლიცკონკურსს ამოცანების და ეტიუდების შედგენაში, რომელიც საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-აპოლონის“ ერთობლივ ფრენას მიეძღვნა. ამასთან დაკავშირებით თითქოს და სიმბოლურად აღმოჩნდა დ. გურგენიძის (სსრკ) და კ. ბეკერის (აშშ) მიერ კონგრესის დღეებში შექმნილი ერთობლივი ეტიუდი. მას სპეციალური პრიზი ხვდა. ნიჭიერმა ახალგაზრდა ეტიუდისტმა დავით გურგენიძემ ამასთან ერთად პირველი პრიზიც მოიპოვა. კომპოზიციის სხვა ყანრებში ვაიმარკიელ ინგლისელმა ბ. ბარნსმა, საბჭოთა პრობლემისტებმა ლ. ლოშინსკიმ, ა. გულაევმა, ვ. რუდენკომ, ვ. ნეკიტინმ და ა. კრიხელმა, კონკურსზე შეფასებული ყველა ნაწარმოები გამოქვეყნდება კონგრესისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოცემაში.

საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისიამ საატიუდო ხელოვნების მუდმივ ექსპერტად მიიწვია საერთაშორისო ოსტატი და ფიდეს არბიტრი გ. ნადარეიშვილი (სსრკ). იგი მონაწილე იქნება შემდეგი კონგრესისა, რომელიც 1976 წელს დანიაში გაიმართება.

დასასრულს „მერანის“ მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ ახალი საბჭოთა დიდოსტატის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის **ვ. ბრონსის** (სვერდლოვსკი) სამსვლიან ამოცანას, რომელიც სანიმუშო შამათებისაგან შედგება.



ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ვ. ნეიძე.

ვინ ამოხსნა

„**კომუნისტის**“ 21 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი ი. **აკობიას** ორსვლიანი ამოცანა ბევრს მოეწონა. იგი შემდეგნაირად იხსნება: 1. д8ф7 და შავი მხედრის რვავე სვლა მთლიანობაში „ბორბლის“ პოპულარულ თემას წარმოგვიდგენს. ამომხსნელთა ნაწილს „გამორჩათ ფარმყოფელი სვლა — 1... ეეh1 და ამოცანა არ იხსნებაო! სასიხარულოა, რომ მკითხველებმა ნაწარმოების გასწორების სანტერესო ცდები შეთავაზეს. „მერანი“ მიესალმება მათს შემოქმედებითს აქტივობას!

გასწორების ყველაზე კარგი რედაქცია შექმნა ნ. ფანჯაკიძემ (წაღვერი). მისი აზრით а3 ფერზე უნდა დაისვას შავი პიკი, d2-ზე კი თეთრი. ხოლო ორი თეთრი მხედრის ნაცვლად ერთი დარჩეს d1 ფერზე. მართლაც, ამ შემთხვევაში „ბორბალი“ ისევ იტრიალებს!

ამოცანის ამოხსნა პირველებმა გამოგვიგზავნეს: ე. ჭუმბურიძემ (თერჯოლის რ. ზედა სიმონეთი), ვ. ასათიანმა (დმანისი), ვ. ჯანაშიამ, გ. და ლ. ნანავებმა (ყველა — ბეჟანიკორის რ. დიდი ჭყონი), ა. ვაჩაძემ (ამბროლაურის რ. ნიკორწმინდა), მ. წულაია (სოხუმი), მ. კინწურაშვილმა (ცხაკაია), ა. და ვ. ჭიკაშვილებმა (ორჯონიკიძის რ. ილარი), ა. აეროინმა (გორი), თ. ლაფაჩიშვილმა (საგარეჯო), რ. ნოზაძემ, ვ. კალანდაძემ, თ. (ანანიამ (ყველა — ლანჩხუთის რ. აცანა), ვ. სამხარაძემ (ქობულეთი), ვ. (ცაგარელმა, მ. მირაქიშვილმა (ორივე — ბაგრა), ვ. მაჩაწოვმა (ორჯონიკიძე), ბ. ბლიოოსიძემ (ბორჯომი), ა. დათიაშვილმა (ბურჯანალის რ. ველისცეხე), ვ. მელქიძემ (რუსთავი), შ. კუბლაშვილმა, ო. მამულაშვილმა, ბ. ბეზარაშვილმა, ს. მუჯირმა, ი. დემურიამ, ვ. ასატუროვმა, პ. მიქაბერიძემ, ა. ბესტავაშვილმა (ყველა — თბილისი).

ოლ. ჯალანდაძე

გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სოციალისტური შრომის გმირი, პენსიონერი ოლია მარკოზის ასული ჯალანდაძე.

ო. ჯალანდაძე დაიბადა 1890 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ადრეული ასაკიდან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში; იყო გლეხთა წითელი რაზმის წევრი, 1905 წელს იარაღით ხელში იბრძოდა ნასაკრალის ცნობილ შეტაკებებში. 1907 წელს შეეხა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. 1907 წლის სექტემბერში მონაწილეობდა ქუთაისის ციხის ქვეშ გვირაბის გაყვანაში დაპატიმრებული რევოლუციონერი ამხანაგების განთავისუფლების მიზნით.

1917 წელს ო. ჯალანდაძე ხელმძღვანელობდა ქალთა ბოლშევიკურ ორგანიზაციას. 1918 წლიდან ოქტომბრამდე ოჯახობაში, აქტიურად იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ო. ჯალანდაძე არჩეული იყო შშობლიურ სოფლის რევკომის წევრად, უშუშაევა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1944 წლიდან გადაიყვანა პენსიაზე. ო. ჯალანდაძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ძველი ბოლშევიკის ო. ჯალანდაძის ნაადრევი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ტელევიზია

18 ოქტომბერი

პირველი პროგრამიდან

10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცოცხალი პალიტრა“, 10.45 — შვეიცარიელთა ქართული ენა, 11.30 — სატელევიზიო ფიქრადი მრავალსერიანი მოთხრობა „ოლგა სერგეევნა“. მე-4 თავი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.55 — „კინოდოკუმენტალისტის თვალთან“, 13.25 — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 14.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „უფიბნო—სიციოფლის ასპარეზი“ (ქართული ვერსია), 15.05 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 16.05 — ქალის საერთაშორისო წელი. დოკუმენტური ფილმი. „მოუტანე ადამიანს სიხარული“. 16.20 — კინონარკვევი, 16.30 — სტრასბურგის ფილარმონიის ორკესტრის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — „ჯანმრთელობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — „ცხოვლეთა სამყაროში“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის შეიარაღებისათვის, 19.15 — ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის, 19.40 — „ქართული კულტურის დიდი მოღვაწე“. ვახტანგ ბაგრატიონი (დაბადებიდან 300 წლისთავის გამო), 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფიზიკურში. „შაბტირი“ (დონეცკი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) მეორე ტაიმი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა დონეცკიდან), 20.45 — ქართული საბელევიზიო ფილმი „ცაბუნია“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ადამიანი და კანონი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. ფერადი გამოსახულებით, 23.25 — ახალი ამბები, 23.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მე-15 გაზაფხული“, 24.00 — სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

18 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დონ კიხოტი** (მე-15 აბონ. I წარმ.); **შოთა რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კავკასიური ცარცის წრე** (54-ე საშუალო სკოლისათვის); **კოტე მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **იათმი ბურჯი**; **ვასო აბაშიძის** სახელობის ფსიქოლოგიური კომედიის — **ძველი თბილისის სურათები**; საქართველოს სახელმწიფო მინიატურების — **ფრთხილად, ძმრეგო.**

რედაქტორი

დ. მეიდლიშვილი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკოლამდელი აღზრდის ვეტერანი, სკკპ წევრი 1938 წლიდან

მილიცა სილოვანის ასული შუბლაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თეატრი სცენაზეა რევოლუციური გურია

მახარაძის თეატრის ერთი სპექტაკლის გამო

შემპობა გმირულ ტრადიციებზე აზრდება ჩვენი თაობა. დღევანდელმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, გრძნობდეს თუ რევოლუციის გარიჟრაჟზე როგორ იბრძოდნენ მათი მამები, რომ თავის უფლება მოეპოვებინათ. ამის ნათელი ილუსტრაციაა მახარაძელთა ბოლო სპექტაკლი, რომელმაც მაყურებლის დიდი ყურადღება დაიმახსოვრა. ლაპარაკია მახარაძის ალ. წულუნაიას სახელობის საარაინთაშორისო სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლ „ნინოშვილის გურიაზე“ (დადგმა —თეატრის მთავარი რეჟისორის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ს. ახალაძისა). ეს სპექტაკლი მიეძღვნა რუსეთის პირველი რევოლუციის 70-ე წლისთავს.

რეჟისორის ყურადღება შემოხვევით როდი შეჩერებულა შალვა დადიანის მრავალფეროვანი შემოქმედების ამ ნიშნეზე. ეენატე ნინოშვილის გმირების ცხოვრება ხომ 1905 წლის რევოლუციის წინადღეა — სწორედ ასე წაიკითხა გამოცდილმა დრამატურგმა ნინოშვილის ნაწარმოები, რომელშიც მთელი სიცსადით არის ნაჩვენები გლეხობის რევოლუციური შეგნების თანმიმდევრული ზრდა.

...კაცია მუნჯაძე, მისი უსიტყვო მორჩილება და უსამართლობისადმი წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა ხდება მისი სიკვდილის მიზეზი. არა მატარებელნა, არამედ მეფის ხელისუფლების ბიუროკრატიულმა აპარატმა გასროსა იგი.

დასკვნა, ცხადია: საჭიროა პროტესტი, მაგრამ როგორი?

და აი აქ ჩნდება გოგია უიშვილი — პასიური პროტესტანტი, რომელიც თვითმკვლელობით ცდილობს გაექცეს იმ უსაშველოდ უსამართლო ქვეყანას.

ასეთი პროტესტის უსუსურობა აშკარაა და ახლა სპირიდონ მცირეშვილი საკუთარი ხელით კლავს მოძალადეს. — არც ეს გზა ვარგა.

ხიმონა ძალაძე — ფიზიკალად გარბის და უკვე მთელი რაზმით (ეს მაასავით შეგროვრებული და გაუბედურებული ხალხია) წინ აღუდგება მჩაგვრელებს. ამ სტიქიური ამბოხიდან ერთი ნაბიჯია შეიარაღებულ აჯანყებამდე.

და თითქოს დიდი ჟამთაღმწერლის წიგნების ლოგიკური დასასრულია, რომ 1905 წლის რევოლუციამ საქართველოში ყველაზე დიდი გაჰქანება გურიაში მიიღო, კუთხეში, სადაც მისი წიგნების გმირები ცხოვრობდნენ.

რეჟისორმა პიესის (რომელსაც უამრავი მოქმედი პირი ჰყავს) მთავარ მოქმედ პირად აქცია მასა. სპექტაკლის მთელი მსვლელობა პიესის ძირითად იდეას დაუპირისპირა, პიესიდან ამოიღო ის ნაწილი, რომელიც არცთუ მტკაცედ იყო დაკავშირებული მაგისტრალურ ხაზთან. სპექტაკლი ორ მოქმედებამდე შემცირდა.

შედეგმა მოლოდინი გაამართლა—მიეიღეთ არა ძალაძეების, მუნჯაძეების, მცირეშვილების, უნათლოშვილების, უიშვილების ოჯახების პატარ-პატარა ტრაგედიებად დამსხვრეული დანაწევრებული სპექტაკლი, არამედ საერთო-სახალხო ტრაგედია, რომელშიც თვითეული ოჯახის ისტორიას დამოკიდებული მნიშვნელობა კი არა აქვს. არამედ ეს მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ხალხის ცხოვრების ფრაგმენტს წარმოადგენს.

სპექტაკლის ყველაზე მთავარი მომენტი ორი მასობრივი სცენაა. თითო თითო განყოფილებაში (მოქმედებაში).

პირველი სცენა სოფლის კრებაა, როდესაც ბრბო (და არა მასა) სოფლის ბობოლების უკანონო გადაწყვეტილებას უსიტყვოდ ემორჩილება.

კარდინალურად განსხვავებულია მეორე მასობრივი სცენა, როდესაც ხალხის მასა (უკვე არა ბრბო, არამედ სწორედ მასა) იმავე ბობოლებს დაანახებს. გლეხობის განწყობილების ეს ცვლილება მეტისმეტად მკვეთრია და მას უფრედენ მოტივირება სჭირდებოდა. სწორედ ამ ორ მასობრივ სცენას შორის წარმოჩენს სპექტაკლში მოქმედება, რომლის განმავლობაშიც ეს უტყვი და მოსმენილი გურული გლეხები ხვდებიან, რომ თვითეული მათგანის ტრაგედიას საერთო მიზეზები, საერთო საფუძველი აქვს.

საპერობილიდან დაბრუნებული ხიმონა ტყეში გარბის და მისი სიტყვები: — „ხომ ამაღებიეს თავზე ხელი — ახლა ნახონ როგორია თავზეხელაღებული კაციო“, მაყურებელს მომავალ შურისგებაზე მიანიშნებს.

... და ამ შურისგების დროც მოდის — მაგრამ ეს არ არის ერთი კაცის, ცხოვრებაზე გაბოროტებული კაცის დროებითი ზეიმი, არამედ ეს ხალხის, მასის ბასრაჯვებაა, რომელიც თავისი ამბოხების ყველაზე კრიტიკულ მომენტში (როდესაც სოფლის მოედანზე ამბოხჩრებული ზღვის ტალღებივით შემოიჭრება თოფებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ხალხი) იმეორებს სიმონას მიერ ადრე ნათქვამ სიტყვებს: „ეუშა ხალხი ვიყავით, გასაჭყლეტად მოგვინდომეს, თავზე ხელი აგვაღებიეს და აგია, ნახონ ახლა როგორია თავზეხელაღებული ხალხი!“

43 მოქმედი პირი — ეს დიდი რიცხვია ორმოქმედებიანი პიესისათვის. მაგრამ ყველა თავის ადგილზეა. ალ. ცქვიტიშვილი სუსანა მაჭანკლის როლში მთელ სპექტაკლში ყველაზე უფრო ბუნებრივია; მსახიობს აქვს სცენის დამორჩილების კულტურა. მშვენიერია მოსე მწერლის როლში ვლ. ბაჯელიძე, მოსალოდნელი იყო, რომ ამ სახის სანდრო ჟორჟოლიანისეული გახსნის ტრადიცია იჩენდა თავს. ჩვენნაირად, ცხადია, ცხადია, შეიძლო ორიგინალურად გაეხსნა ეს სახე. ო. ურუშაძემ აზნაურ ბაქსიმელას როლში თითქოს შედარებით მეორეხარისხოვანი (სპექტაკლის ახალაძისეულ გადაწყვეტაში ასეთი იერარქია პარადოქსია) როლი დაიმორჩილა და პიესის სხვა გმირებს გაუთანასწორა. დაკი დროიძის საინტერესო პორტრეტი მოგვცა რესპუბლიკის დასსახურებულმა არტისტმა მ. წიგნაძემ. შესრულების უშუალობითა და მომხიბლავობით მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა ც. ლოლაძემ (დარია, სიმონას ცოლი), რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლ. თურმანიძემ სიმონას ეს დიდის ქეთევნის შთამბეჭდავი სახე შექმნა. მაყურებლებზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს რესპუბლიკის დასსახურებულმა არტისტებმა რ. ლომინაძემ (კაცია მუნჯაძე), ი. ართოელიძემ (ტარიელ მელავაძე), გრ. ალანდაძემ (ესიკა ტეფრაძე), ს. ახალაძემ (ივანეტი ნინოშვილი), ან. ანდიულაძემ (მარიკა, კაციას ცოლი), მსახიობებმა ა. ჭადეიშვილმა (სიმონა), გ. მახარაძემ (ქრისტინე), ზ. თოთიბაძემ (ვინატრე), ე. მუჩიაურმა (ალალა), ბ. ახმატოვმა (იასონი), ნ. მესხიძემ (სპირიდონ მცირეშვილი), მ. ავალიანმა (თინათინი).

საერთოდ ეს სპექტაკლი თეატრის მთელი კოლექტივის გამარჯვება იყო. ამ წარმოდგენამ დაამტკიცა, რომ მახარაძის თეატრს მომავალში უფრო მეტის გაკეთების უნარი შესწევს.

სპექტაკლში გამოყენებულია შალვა შშვეიანის მუსიკა, დაწერილი გურული ხალხური სიმღერების კილოზე სპეციალურად ამ პიესისათვის.

ძალზე ჯოლორიტულია **ბაგ**ეთ მამია მალაშონიას დეკორაციები. ისინი ნინოშვილის დროინდელი გურიის უტყეარ სურათს ქმნიან.

სპექტაკლის ავტორი გამოყენებულია ორკესტრის პრინციპი — რიტმი პირველი მოქმედებიდან განუხრელად მატულობს და უკანასკნელ მასობრივ სცენაში აღწევს კულმინაციურ წერტილს. სპექტაკლი „ნინოშვილის გურია“ რეჟისორისა და მთელი შემოქმედებითი დასის თვალსაჩინო ნამუშევარია.

მ. ჟურდიანი.



სურათზე: ფინალური სცენა ქ. მახარაძის სარაინთაშორისო დრამატული თეატრის სპექტაკლიდან „ნინოშვილის გურია“.

ი. სასოკინის ფოტო.

ფეხბურთი

სამი მატჩი

გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის 27-ე ტურის პირველი სამი მატჩი:

„**პაპტაკორი**“ — „**დინამო**“ კ. — 5:0

„**არარატი**“ — „**ლოკომოტივი**“ — 2:0

„**კარპატი**“ — „**ტორპედო**“ — 1:0

ქუთაისელთა გამარჯვება კემერეოვოში

„**ა**“ **კლასის** პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გაიმართა გუშინ კემერეოვოში ადგილობრივ „კუზბასსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის.

ამ მეტოქეებს პირველი წრის მატჩი სეზონის გახსნის დღეს — 11 აპრილს დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

გუშინდელი შეხვედრა კვლავ ქუთაისელებმა მოიგეს — 1:0.

ახლა ქუთაისის „ტორპედოს“ 35 თამაშის შემდეგ 45 ქულა აქვს. მომდევნო შეხვედრას ტორპედოელები გამართავენ 21 ოქტომბერს სვერდლოვსკში „ურალმაშთან“.

სამგისტთა მედლები

პიდაობა. მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა სამბოში, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ამერიკელისელი სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის მოჭიდაგეები. 74 კგ წონითს კატეგორიაში ოქროს მედლის მფლობელი გახდა ალეკი ოქროპირიძე, ხოლო 90 კგ წონითს კატეგორიაში — როიი ქიოსოსროშვილი, ორმა სამბისტმა ნოდარ სალთხუციშვილმა (68 კგ) და ნოდარ ექვითიმაშვილმა (100 კგ) ვერცხლის მედლები მოიპოვეს. მიხეილ დავითაშვილი (52 კგ), დავით ბოდაველი (90 კგ) და როდენ ოდიშელიძე (მაქიმე წონა) ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

მძლეოსნობა

თითქმის ნახევარი მეტრით...

მეხიკოში მეშვიდე პანამერიკულ შეჯიბრებაზე 21 წლის ბრაზილიელმა მძლეოსანმა ჟოაო ოლივეირამ ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა სამმაგ ხტომაში — 17 მეტრი და 89 სანტიმეტრი. ეს მიღწევა მთელი 45 სანტიმეტრით აღემატება ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, თბილისელი ვიქტორ სანეევის სამი წლის წინანდელ მსოფლიო რეკორდს.



პირველი პროგრამით

□ 20 ოქტომბერი

12.55 — მსოფლიოს ქალთა კონგრესის საზეიმო გახსნა (გადმოცემა ბერლინიდან),
17.05 — სტუდენტთათვის — ზოგადი ფიზიკა,
18.05 — განცხადებები,
18.10 — მოსწავლეთათვის — „აბა, გამოიცანით...“,
18.40 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე),
19.00 — „ხარისხი — უპირველეს ყოვლისა“,
19.15 — „სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — „პაპესეული ნაბადი“ (განმეორებით),
20.15 — „ჰელსინკის შემდეგ“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — პაოლო იაშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო (ვიდეოჩანაწერი).

□ 21 ოქტომბერი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან)
10.30 — დოკუმენტური ფილმი — „ჭარასკაცები ქვის ფარჯებში“,
11.05 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა (მეშვიდეკლასელთათვის),
11.35 — დოკუმენტური ფილმი „ეიღენგბა ჩაიკოვსკის“,
12.35 — სატელევიზიო დადგმა „ყვითელი ფოთლების ხანა“. პირველი ნაწილი,
16.35 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა,
17.20 — კინონარკვევი,
17.30 — მოსწავლეთათვის — ბიოლოგია,
18.15 — განცხადებები,
18.20 — „საქართველოს ულორიბეზე“ — რაჭა (განმეორებით),
18.50 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ცოდნა“ (ფერადი გამოსახულებით),
19.20 — „კანონი და კანონიერება“,
19.45 — „მეცხრე სტუდია“ — სტუდიაში პოლიტიკური მიმომხილველი ვ. ზორინი) (გადმოცემა მოსკოვიდან).
20.45 — „სპორტული მიმოხილვა“,
21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.35 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის“,
22.40 — მხატვრული ფილმი „როცა აყვავდა ნუში“,

□ 22 ოქტომბერი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან,
10.30 — „ბუბუტანიოს გამოფენა“ (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით).
11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მოთხრობა „ოლგა სერგეევნა“ მეტეთე და მეექვსე თავი. (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.35 — მოსწავლეთათვის გერმანული ენა,
17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი მონოლოგი“,
17.15 — მოსწავლეთათვის — ქიმია,
18.00 — განცხადებები,
18.05 — მოსწავლეთათვის. სატელევიზიო ჟურნალი „ცისარტყელა“ (განმეორებით),
18.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მაგისტრალური გზა“ (ქართული ენაზე),
19.00 — ფეხბურთი. თასის მფლობელთა თასზე. „არარატი“ (ერევანი)-„ვესტხემ უნაიტედ“ (ინგლისი). — გადმოცემა ერევნიდან),
20.45 — ქალის საერთაშორისო წელი: დოკუმენტური ფილმი „სოფლის ექიმი“, პრემიერა,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „პიროვნება და საზოგადოება“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ფეხბურთი უეფა-ს თასზე. „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„კელნი (გერ) — გადმოცემა მოსკოვიდან).

□ 23 ოქტომბერი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გური კრილოვი“,
10.45 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა (მეეთვრამეტეკლასელთათვის),
11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მოთხრობა „ოლგა სერგეევნა“ — მერვე თავი (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.25 — სატელევიზიო დადგმა — „ყვითელი ფოთლების ხანა“. — მეორე სერია,
16.35 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა,
17.05 — კინონარკვევი,
17.15 — მოსწავლეთათვის — სსრკ კავშირის ისტორია,
18.00 — განცხადებები,
18.05 — ბავშვებისათვის — კინოპროგრამა,
18.40 — „ბლობუსი“ (განმეორებით),
19.30 — „მილრონთა ლენინური უნივერსიტეტი (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — „საფლის მეორეობის სპეციალისტს ტრიბუნა“,
20.20 — „ჩვენი კომენტარი“,
20.30 — კინოპროგრამა,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — საესტრადო კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის“,
22.40 — „ეკრანზეა სატირული გმირი“ — მეორე გადაცემა,
23.30 — ახალი ამბები,
23.45 — სპორტული პროგრამა: 1. ევროპის პირველობა ფრენბურთში (გადმოცემა იუგოსლავიიდან ფერადი გამოსახულებით), 2. მსოფლიო პირველობა ძიუ-დოში (გადმოცემა ვენიდან ფერადი გამოსახულებით).

□ 24 ოქტომბერი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — კინონარკვევი „დაუმთავრებელი რეპორტაჟი“,
10.45 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა (მეათეკლასელთათვის),
11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მოთხრობა „ოლგა სერგეევნა“ — თავი მერვე (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.25 — დოკუმენტური ფილმი — „მღერის მუსლიმ მაგომაევი“,
16.35 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი მუშა ადამიანი“,
17.20 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა,
18.05 — განცხადებები,
18.10 — ბავშვებისათვის — კონცერტი,
18.50 — სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად — „დეპუტატი და ცხოვრება“,
19.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.40 — მსოფლიოს ქალთა კონგრესის დასკვნითი სხდომის ტელასლაცია ბერლინიდან (ფერადი გამოსახულებით),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — მინიატურების სატელევიზიო თეატრი — „13 სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
23.30 — სპორტული პროგრამა: 1. ევროპის პირველობა ფრენბურთში (გადმოცემა იუგოსლავიიდან ფერადი გამოსახულებით),